საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით, შემოსული წერილობითი მოთხოვნებისა და მათზე რეაგირების შესახებ ანგარიში:

- 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ფინანსთა სამინიტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მიზნით სულ შემოვიდა 7 (შვიდი) წერილობითი მოთხოვნა. მათგან პასუხი გაეცა 6 (ექვსი) განმცხადებელს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო შესრულების პროცესშია ერთი წერილობითი მოთხოვნა.
- სახაზინო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ, ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების ან მათზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირს სახაზინო სამსახურში წარმოადგენს სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სახაზინო სამსახურში არ დაფიქსირებულა.